Aerospace, a non-profit DIY balloon-based space program in the US. Concerning immigration, well, if you look at USA history, since the early years of its creation, the country has always been the destination of many outlaws fleeing away (the status of outlaws is even in the early Philadelphia Constitution), alternative religions rejected from Europe (Theosophists, Amish, etc. etc), or poor people from post-war countries searching for jobs... I don't see why it would not be the same pattern with space.

We admire new unorthodox synthesis of old "orthodox" role-models. For example, we love the image of an astronaut who is a great engineer and good scientist, but also practices shamanism, loves to dance at rave parties and studies schizoanalysis. And on the other hand we love the image of a poet, who studies programming, robotics and cosmology in order to inspire her / his poetry. Do you think we need this kind of mixture? In other words, should we send poets and artists to space to get a fresh vision of Cosmos?

Definitely. But more than that. Space exploration must be composite of art of science. There will be no proper life and space culturalization in the cosmos without that.

That's why I decided to work closely with my friends from Slovenia, who I like to call the Noordung AAA branch, when they created in 2012 the KSEVT, the Cultural Center of European Space Technologies in Vitanje near Maribor in Slovenia. You have to remember that through the development of science and technology, national or commercial space programs influence the development of modern social-technological culture. But due to their limited sphere of national and commercial goals their influence on culture and vice-versa remains merely coincidental, inconsiderate and unreflected. So KSEVT aims to develop a cultural space program that sets its main frame around the topics of culturalization of space and the composite of art and science. KSEVT focuses on exploring and developing guidelines for the implementation of a cultural space program; it wishes to encourage both culturalization of space and composite research and development. Exploring and developing guidelines for the implementation of a cultural space program enables interaction of various experts, artists and scientists. They deal with a cultural cross section of space programs, each from his own method of thought and, moreover, they establish composite diplomatic protocols between the fields of art and science. KSEVT encourag-


es individuals and organizations included in space and culture related activities to develop common projects. Through those efforts we can begin to recognize cultural patterns of space programs. Supporting composite research and development encourages scientific and artistic public to develop composite diplomatic protocols and models of thinking even further, all serving the same cause – a more complete understanding of the question: «What is it like to be human in space?»



What is your message for all the young space dreamers from all over the globe? From the skyscrapers of Shanghai to the slums of Venezuela?

You don't need a rocket to develop your own space program!

სვიჩინებები აჩალებელური კოსმონავზებისთვის TATTOOS FOR ILLEGAL COSMONAUTS

ანკა ბოჭორიშვილი
Anka Bochorishvili











საკრალური გზა პარსკულავეზისკენ

ჯუულიო პრისკო, ინფორმაციული ტექნოლოგიების ვირტუალური რეალობის კონსულტანტი, მწერალი და ტრანსჰუმანისტი

რა არის ტურინგის ეკლესია? რაში ხედავ მის მომავალს?

- ტურინგის ეკლესია იმ ადამიანების საზოგადოება ვინც სიახლეს მეცნიერების და რელიგიის, სულიერების და ტექნოლოგიის, ინჟინერიის და სამეცნიერო ფანტასტიკის გადაკვეთაზე ეძებს. ეს ადამიანები საერთო ხედვებს იზიარებენ:

ჩვენ გავფრინდებით ვარსკვლავებისკენ და ვიპოვით ღმერთს;

ჩვენ შევქმნით ღმერთს და გავაცოცხლებთ ნარსულის მკვდრებს ახალი, განვითარებული მეცნიერების, სივრცე-დროის ინჟინერიისა და „დროის მაგიის“ დახმარებით;

ღმერთი, სამყაროს სიღრმეებში, სიცოცხლისა და ცივილიზაციების განვითარებული ფორმებიდან იბადება. მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს დროის და სივრცის მოვლენებზე ყველგან და ყოველთვის, აქ და ახლა;

ასეთი ღმერთი სიყვარულს და ემპათიას ფუნდამენტურ ძალად, სამყაროს ევოლუციის მთავარ მამოძრავებლად ამკვიდრებს;

ამ მომენტისთვის ტურინგის ეკლესია არაფორმალური ონლაინ ქომუნიტია, საკუთარი მეილ-ლისტით, ფეისბუქ გვერდით, არარეგულარული ვიდეო კონფერენციებით და ხშირი შეხვედრებით, ვირტუალურ რეალობაში. ვფიქრობ, რომ დროთა განმავლობაში ტურინგის ეკლესია შესაძლოა ორგანიზებულ რელიგიადაც იქცეს, გაცილებით უფრო ფორმალური სტრუქტურით. თუმცა, უკვე არსებობს ბევრი ჩვენთვის ახლო და საინტერესო ორგანიზაცია, პირველ რიგში მორმონების ტრანსჰუმანისტული ასოციაცია (MTA). MTA-ს ბევრი იდეა

ჩვენთან თავსებადია. მათ უკვე გაიარეს რთული გზა, საკმაოდ შეკრული საზოგადოების და ოფიციალური ორგანიზაციის შესაქმნელად. ამიტომ ვფიქრობთ ხოლმე, რატომ გამოვიგონოთ ბორბალი თავიდან? მაგრამ, მეორეს მხრივ, შესაძლოა, დამოუკიდებელი, არავისთან ასოცირებული ტიურინგის ეკლესია გაცილებით მიმზიდველი იყოს მათთვის, ვისაც არ სურს ამა თუ იმ ტრადიციულ რელიგიასთან გაიგივება.

წინა საუკუნის დასაწყისში არსებული, ორიგინალი კოსმისტები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ რამეებს აკავშირებდნენ: კოსმოსური კვლევების იდეას – რელიგიური პასთან, ტექნოლოგიური უკვადავების იდეებს – ქრისტიანობასთან. როგორ „უმკვალდებიან“ თანამედროვე კოსმისტები ასეთ სინთეზებს და რა არის თანამედროვე კოსმისტების მთავარი სამიზნეები დღეს?

- თანამედროვე კოსმისტები გაფანტულები არიან. ისინი არ არიან შეკრულები როგორც ერთი ჯგუფი ან სკოლა. მათ არ გააჩნიათ ერთი ხმა ან გამაერთიანებელი ფილოსოფია, ამიტომ მე მხოლოდ ჩემი სახელით გიპასუხებთ და ეს იქნება მრავალთაგან ერთ ერთი კოსმისტის პასუხი. კოსმოსის კვლევას მე აღვიქვამ, როგორც კაცობრიობის აღმავალ სწრაფვას ტრანსცენდენციისკენ, გარდაქმნისკენ. თუ შეამჩნიეთ, ვარსკვლავები, კოსმოსი და სამყარო სამივე ნახსენებია ზემოჩამოთვლილი ტიურინგის ეკლესიის სამ პუნქტში. ჩვენ, კაცობრიობა აუცილებლად უნდა გავემგზავროთ კოსმოსისკენ და გავიფანტოთ ვარსკვლავებში იმისთვის,

რომ ეს მოხდეს, იმისთვის რომ ჩვენ გარდავიქმნათ.

გვჭირდება კი კოსმოსური რელიგია ახალი კოსმოსური ეპოქისთვის რომელიც ესესაა და-ინოვ? როგორია ეს რელიგია?

- სოციოლოგი ბილ ბეინბრიჯი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ძლიერ, მთამაგონებელ კოსმოსურ რელიგიას შეუძლია ჩვენი ვარსკვლავებისკენ წაყვანა. თუ ტიურინგის ეკლესია გადაიქცევა ორგანიზებულ ინსტიტუციად, მაშინ მე ვიტყვოდი, რომ რა თქმა უნდა, ეს ის იდეებით ნაკვები ეკლესიაა, რასაც ბეინბრიჯი კოსმოსურ რელიგიას უწოდებს.

ამ როლის აღება საკუთარ თავზე უკვე არსებულ რელიგიებსაც შეუძლიათ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი „ვარსკვლავებისკენ მიმავალ საკრალურ გზას“ დაადგებიან და კაცობრიობის მანიფესტად და კოსმოსურ ბედისწერად, დედამიწის დატოვებას აირჩევენ, თუ ჩათვლიან, რომ ეს ღმერთის მიერ ნაკარნახევი გზაა. ჯერ-ჯერობით ასეთ ფუნქციას ჩემს მიერ ზემოთხსენებული MIT ასრულებს და მათ გარდა კიდევ არსებობს ქრისტიან ტრანსჰუმანისტთა ორგანიზაცია (CTA), რომელსაც ასევე შეუძლია ამ როლის საკუთარ თავზე აღება. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს რომ ეს ორგანიზაციები ჯერ კიდევ პატარები არიან და ისინი ძალიან უნდა გაიზარდონ მასშტაბებში იმისთვის, რომ ასეთი პრეტენზია გააჩნდეთ.

შესაძლოა თუ არა ახლო მომავალში მოვეცნ-როთ კოსმოსის დამოუკიდებელ მკვლევარებს? დაბალი ორბიტის პირატებს? მთვარის ან სხვა

ციური სხეულების სკვოტერებს? რამდენად შორს ვართ იმ მომენტისგან, როცა ადამიანების დამოუკიდებელი ჯგუფი კორპორაციების და სახელმწიფოს ნებართვის გარეშე გადანყვეტს პლანეტის დატოვებას? რა უნდა ვქნათ ჩვენ, კოსმისტებმა იმისთვის, რომ დავაჩქაროთ ეს მოვლენები, იმისთვის, რომ სიტყვის და გამოსატყვის თავისუფლებებს დავმატოს საკუთარ სხეულზე ექსპერიმენტების და კოსმოსის კვლევის თავისუფლებებიც?

- ჩვენ აუცილებლად ვიხილავთ ასეთ ხალხს, მაშინ როცა ეს ადამიანები გადანყვეტენ გახდნენ უფრო ორგანიზებული და გააერთიანებენ საკუთარ შესაძლებლობებს, ჭკუას და ბევრ სიმუშავებენ.

მე მხარს ვუჭერ კოსმოსის დამოუკიდებელ კვლევას და მსურს ვიხილო თუნდაც „დაბალი ორბიტის პირატები“ ან „მთვარის სკვოტერები“. პირადად მე, ჩართული ვარ ახალ პროექტში, სახელად „კოსმოსის დეცენტრალიზაცია“, რომლის მიზანი დეცენტრალიზებული კოსმოსური სააგენტოს დაარსებაა, დამოუკიდებელი მოქალაქეების მიერ. მისი მიზანი იქნება წასვლა ვარსკვლავებისკენ და მათ მიღმა.

ჩემთვის ეს უპირველესი და უმთავრესი ამოცანაა, რომელიც დროზე უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს იდეები რეალობად იქცნენ.

SACRAL ROAD TO STARS

Giulio Prisco, information technology virtual reality consultant, writer, futurist, and transhumanist.

What is Turing Church? How do you see the future of this concept?

Turing Church is a community of seekers at the intersections of science and religion, spirituality and technology, engineering and science fiction, mind and matter, with shared cosmic visions:

We will go to the stars and find Gods, build Gods, become Gods, and resurrect the dead from the past with advanced science, space-time engineering and „time magic.“

God is emerging from the community of advanced forms of life and civilizations in the universe, and able to influence space-time events anywhere, anytime, including here and now.

God elevates love and compassion to the status of fundamental forces, key drivers for the evolution of the universe.

At this moment Turing Church is an informal online community with a mailing list, a Facebook group, video talks, and meetings in virtual reality. At times I think that Turing Church should become an organized religion, with a more formal structure. But excellent affine organizations already exist, first and foremost the Mormon Transhumanist Association (MTA). The MTA is totally compatible and has already done the hard work of building an excellent community and formal orga-

nization, so why re-invent the wheel? At the same time, perhaps an independent, unaffiliated Turing Church could be more appealing to those who prefer to stay away from traditional religions.

Original Cosmists mixed religion with space exploration, dreams of immortality with Christianity. How contemporary Cosmists are dealing with this issues, and what is the main agenda of contemporary Cosmists?

Contemporary Cosmists are not organized in a single group, and don't speak with a single voice, so I can only answer as one of many contemporary Cosmists. I consider space exploration as an integral part of the ascent of humanity toward transcendence. Note that space, the stars, and the universe appear many times in the three short Turing Church bullet points above. We must go to space and spread to the stars to make all that happen.

Do we need Space Religion for new Space Age? And how do you see this religion?

Bill Bainbridge said that only a strong, vibrant space religion can take us to the stars. If Turing Church becomes an organized religion, that I will say (of course) that Turing Church

is Bainbridge's strong space religion.

Otherwise, this role could be played by existing religious organizations that choose to embrace the „Sacred Road to the stars“ as the manifest destiny and cosmic duty of humankind, mandated by God. The MTA mentioned above is one, and there is also a Christian Transhumanist Organization (CTA) that could play a role. However, all these organizations must grow by several orders of magnitude before playing this role.


Can we see the rise of Independent space explorers, Pirates of low orbit, Squatters of Moon or other celestial objects? How soon can we see the independent group of people who decides to leave the planet without a permission from governments or corporations. And what we need to do to move to that direction – Freedom of speech, freedom of experimenting on your own body and Freedom to explore the Space

We will see an independent group of people leave the planet without permission from governments or corporations, when an independent group of people will decide to leave the planet without permission from governments or corporations, get organized, and make it happen with smart thinking and hard

work!

I support independent space exploration and wish to see groups called „Pirates of low orbit“ and „Squatters of the Moon.“ I am working at the preliminary design of a new organization called „Space Decentral“ a decentralized autonomous space agency by-the-people, for-the-people, aimed at the stars and beyond.

To me, this is really the preliminary work that needs to be done to get going on the Sacred Road to the stars.



ილუზიანი დღე

ვატო ურუშაძე

მოგზაურობა იწყება.

აიღე კამერა, მაგრამ რუკა სახლში დატოვე.

„დაცულობის შეგრძნება მოსაწყენია, რადგან გამორიცხავს კვლევის შესაძლებლობას.“

უცნობი ავტორი

ამის თამაში ყველგან შეიძლება, სადაც კი მანქანები მოძრაობენ.

გაურკვეველი კვლევის ინსტრუქცია:

ნაბიჯი 1: გაყევი პირველივე ავტობუსს ავტობუსის პირველივე გაჩერებიდან.

ნაბიჯი 2: ჩამოდი X გაჩერების შემდეგ. X, ავტობუსის ნომრის ციფრების მიმატებით მიღებული რიცხვია. მაგალითად თუ ავტობუსის ნომერი 57-ა, მაშინ ავტობუსიდან $5+7=12$ გაჩერების შემდეგ ჩამოდიხარ.

ნაბიჯი 3: მიმოიხედე ირგვლივ. თუ ადგილი უცნობია, დაიწყე ყველაფრის კვლევა: შეაგროვე საგნები, ბგერები, სუნები, ფოტოები, ჩაინერე საკუთარი ემოციები და სხვ. იპოვე ის, არც ამ ადგილას უყველაზე მეტად გაინტერესებს და შეეცადე უკეთ გაიგო ის. თუ ეს შენობაა, სთხოვე გამგელს გაითრას ყველაფერი, რაც კი მის შესახებ იცის. როგორც კი საინტერესო პიროვნებას ან სიტუაციას იპოვი, შეეცადე გაახანგრძლივო კონტაქტი. დასაწყისში უცნობებთან საუბარი შეიძლება უხერხული იყოს, მაგრამ მალე აღმოაჩენ, რომ მათი უმეტესობა მზადაა გაგიზიაროს თავისი ცოდნა, გამოცდილება და ისტორიები.

ნაბიჯი 4: როდესაც შენი პირველი ლოკაციის კვლევას დაასრულებ, დაიწყე მეორე, ინსტრუქციის პირველი ნაბიჯიდან.

RUN OF GOOD LUCK

Vato Urushadze

You're about to make a journey.
Grab a camera
but leave your map at home.

„The moment things are secure you
will feel bored, because there is no
possibility for exploration.“
Unknown Author

This game can be played anywhere
one would find local traffic.

Uncertain Exploration Instructions:

1. Go to the closest bus stop and catch the first bus.
2. Get off after X stops. Calculate X by adding the bus numbers.
For example, if the number of the bus is 57 then you must stay
in the bus for $5 + 7 = 12$ stops.
3. Look around you, if the place is unfamiliar, start a random ex-
ploration of everything: collect things, sounds, smells, photos,
write down emotions etc. Find what interests you the most in
that place and try to understand it better. If it is a building,
ask a passer-by to tell you everything he or she knows about
it. Once You find an interesting person or situation try to get
involved. In the beginning it might seem a bit awkward to
start conversations with strangers, but you'll find most of them
will be eager to share their knowledge, experience, and
stories.
- 4 When you've finished exploring your first location, start again
from Step 1.



უელოცვა ავი თვალისგან

გასქდა შავი კლდე,
გამოვიდა შავი კაცი,
გადაჯდა შავსა ცხენზედა,
გადიხურა შავი ნაბადი,
ამოილო შავტარიანი დანა,
გასჭრა ნითელი გველი.
იჯდა დედა მარიამი,
ქსელსა ჰქსოვდა ძოძეულსა,
თმასა შლიდა ბრონეულსა.
წინ ედგა ოქროს ჭურჭელი,
შიგ ედგა ვარდისა წყალი.
გაუტეხესო დედა მარიამსა
ოქროს ჭურჭელიო,
დაუღვარესო ვარდისა წყალიო.
ვინც შენაო ავის გულით,
ავის კოლით,
ავის თოლით შემოგხედაო,
გასქდეს იმისი თოლიცა,
იმისი გულიცა,
იმისი კოლიცაო, –
კაცია,
დედაკაცია,
ფეხდიდია,

ფეხბატარაია,
თოლჭრელია,
თოლშავნაია,
თმანითელია,
თმაშავნაია,
ახალია,
ძველია,
ბებერია,
თეთრფეროვანია,
შავგვრემანია,
მკვდარია,
ცოცხალია, –
იმისი თოლი ეკალსა,
გული – სამართებელსა,
იმისი თოლი ეკალსა,
გული – სამართებელსა,
იმისი თოლი ეკალსა,
გული – სამართებელსა.
დასწყიოს სამოცდასამმა
წმინდამ გიორგიმ
იმისი თოლიც,
იმისი გულიც,
იმისი კოლიც!

SPELL TO WARD OFF EVIL


Gaskda shavi klde,
Gamovida shavi katsi,
Gadajda shavs tskhenszedo,
Gadikhura shavi nabadi,
Amoigho shavtariani dana,
Gaschra tsiteli gveli.
Ijda deda mariami,
Qselsa hqsovda dzodzeulsa,
Tmasa shlida brotseulsa,
Tsin edga oqros churcheli,
Shig edga vardisa tskali.
Gautekheso deda mariamsa
Okros churchelio,
Daughvareso vardisa tskalio.
Vints shenao avis gult,
Avis kolit,
avis tolit shemogkhedao,
Gaskdes imis tolitso,
imis gultso,
imis kolitsao, -
Katsia,
Dedakatsia,
Fekhdidia,

Fekhbatariaia,
Tolchrelia,
Tolshavniaia,
Tmatsitelia,
Tmashavnaia,
Akhalia,
Dzvelia,
Beberia,
Tetrferovania,
Shavgvremania,
Mkvdaria,
Tsotskhalia, -
Imisi toli ekalsa,
Guli - samartebelsa.
Imisi toli ekalsa,
Guli - samartebelsa.
Imisi toli ekalsa,
Guli - samartebelsa.
Dastkios samocdasamma
Tsminda Giorgim
Imisi tolitso,
Imisi gultso,
Imisi kolits!



მოძრაობები პროტესტის აერობიკისთვის

MOVES OF PROTEST AEROBICS

ჯგუფი „ბულიონი“
Group „Boullion“









მარსი და საქართველოს კოსმოსური პროგრამა

მარია ტარასაშვილი, კოსმოსის ბიოტექნოლოგი,
ბუნებათმეცნიერების მასწავლებელი.

რაზე მუშაობ და რა გაინტერესებ ყველაზე მეტად შენს კვლევებში?

- ჩემი განსაკუთრებული ინტერესის სფეროა ინტერდისციპლინური საგანი – ასტრობიოლოგია. ეს არის თანამედროვე სამეცნიერო მიმართულება, რომელშიც გაერთიანებულია: სამეცნიერო ეკოლოგია და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები, ბიოქიმია, ბიოტექნოლოგია, კოსმოსურ გარემოთა ტექნოლოგია, სამგანზომილებიანი ბეჭდვა და სინთეზური ბიოლოგია. ასტრობიოლოგია ორი მიმართულების, ასტრონომიისა და ბიოლოგიის მიჯნაზე მყოფ საკითხებს იკვლევს. ამ მხრივ, ჩემი სპეციფიკური ინტერესის სფერო პლანეტა მარსი და მის კვლევასა და ათვისებასთან დაკავშირებული მეცნიერული გამოწვევებია. დარწმუნებული ვარ, კაცობრიობის მომავალი კოსმოსის, ახალი პლანეტებისა და მთვარეების ათვისებაშია. დედამიწისეული სიცოცხლის ხანგრძლივი მომავლის უზრუნველყოფა მხოლოდ კოსმოსში მისი გადატანითა და გავრცელებით შეიძლება. ამ მხრივ ჩვენ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ და ეს არის პლანეტა მარსზე საკაცობრიო მისიების განხორციელება.

მარსის კოლონიზაციისა და ტერაფორმირების განხორციელებისთვის საჭირო სამეცნიერო ბიოტექნოლოგიური ასპექტები ურთულესია. ჩემი დისერტაცია მარსის გრუნტის მიკრობიოლოგიურ გარდაქმნას ეხება. როგორც აღმოჩნდა, დედამიწაზე არსებულ ექსტრემალურ გარემოში მცხოვრებ ორგანიზმებს, მარსის გრუნტისა და ატმოსფეროს გარდაქმნა შეუძლიათ, რის შემდეგაც მასზე დედამიწისეული მცენარეების დარგვა და მარსისეული აგროკულტურების მოყვანა გახდება შესაძლებელი. ეს იყო ჩემი პირველი სერიოზული ექსპერიმენტული სამეცნიერო ნაშრომი ასტრობიოლოგიაში.

2008 წელს საქართველოს სამეცნიერო ფონდმა დაფინანსება გამოგვიყო, რის შედეგადაც, წლების განმავლობაში მხოლოდ ქალაქზე არსებული მარსის პირობების საიმითაცხო კამერის შექმნა რეალობად იქცა. მას შემდეგ ბევრი ნაშრომი გამოვაქვეყნეთ, რომელთა ინტერნეტში მოძიება სირთულეს არ წამოადგენს. მაგალითად, შარშან, გერმანიის კოსმოსურ სააგენტოში – DLR, მქონდა სამუშაო შესვდრა, სადაც მარსის ათვისებისთვის და, ზოგადად, კოსმოსის პირობებში,

სინთეზური ბიოლოგიის გამოყენებით, გენმოდულირებული მცენარეების შექმნის შესაძლებლობები და სირთულეები განვიხილეთ. წელს, მაისში, აშშ-ში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო ასტრობიოლოგიურ კონფერენციაზე წარვადგინე ნაშრომი – მარსზე დედამიწისეულ მცენარეთა ფოტოსინთეზის მოსალოდნელ თავისებურებათა შესახებ. ამ თემებთან დაკავშირებით, სამეცნიერო პუბლიკაციები სულ მალე გამოქვეყნდება.

მარსის კოლონიზაცია - როდის და როგორ და შენი აზრით, რამდენ ხანში?

- მარსის კოლონიზაციის დაწყება დღესვე შეიძლება. მეცნიერებას ამისთვის ყველაფერი აქვს. საქმე, როგორც ყოველთვის, ფულშია. მარსის ათვისება, ამ ეტაპზე, მხოლოდ ხარჯებს უკავშირდება. ეს ინვესტიციაა, რომელიც მოგებას ასწლეულების განმავლობაშიც კი ვერ მოიტანს. მარსის ათვისების აუცილებლობის სანინალმდებო არგუმენტები რამდენიმე კატეგორიად იყოფა. ყველაზე ხშირად, ასეთი რამ ისმის: „ამდენი პრობლემა დედამიწაზე და არ ჯობია მთელი ეს თანხა ადამიანებს

მოვხმაროთ და არა მარსის ათვისებას?“. ეს ცინიკოსი ადამიანის კლასიკური პოზიციაა, რომელიც სოციალური პარაზიტიზმის პოპულარიზატორია. ამ კატეგორიას თუ შევეკითხებით, სახელდობრ, როგორი სტრატეგია გააჩნია პლანეტაზე ადამიანის პრობლემების მოსაგვარებლად – პასუხს ვერ მივიღებთ, რადგან, ვითომდა ლამაზი და ორიგინალური ფრაზის მიღმა, ეს კატეგორია ფინანსებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტენსიური მომხმარებელია და გარემოს დასაცავად არც ძვირი მანქანის გამოყენებაზე იტყვის უარს და არც მშვიერი ადამიანების თუ ცხოველების დასახმარებლად დაიხარჯება.

არსებობს სხვა, კიდევ უფრო უცნაური პოზიცია, რასაც სამეცნიერო წრეებში დაცინვით „მარსის ქალწულობის მცველთა პოზიციას“ უწოდებენ. საოცარია, მაგრამ ამ კატეგორიაში მეცნიერებიც არიან. მათ მიაჩნიათ, რომ მარსი ისეთივე უნდა დარჩეს, როგორც დღეს არის, და რომ ადამიანებს არ აქვთ უფლება „შერყვნან მისი სილამაზე“ და იქ სხვა სიცოცხლე შეიტანონ, რადგანაც ეს „კოსმოსური მასშტაბის ძალადობის“ მაგალითია. სხვა ადამიანების ნაცვლად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ

ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელია, როგორ უნდა „შერყვნან“ ადამიანებმა ცარიელი ქვები და ქვიშები და რა „ძალიადობას“ აქვს ადგილი არარსებულ სიცოცხლესთან მიმართებაში. ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლე სამყაროში ყველაზე უფრო საოცარი, ლამაზი და დასაფასებელი რამაა, და თუ მარსს ოდესმე თავისი სიცოცხლე ექნება – ამას მხოლოდ მივესალმები. ოდესმე მარსი შეიძლება დედამიწისეული სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთ შესაძლებლობად იქცეს. საბედნიეროდ, მეცნიერთა უმეტესობას მიაჩნია, რომ მსგავსმა არარაციონალურმა მიდგომებმა მარსის ათვისების გრანდიოზულ პროექტს ხელი არ უნდა შეუშალოს.

თუ მეცნიერების ისტორიას და გამოცდილებას გავიხსენებთ, ვფიქრობ რომ კაცობრიობის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი, ამ საუკუნეშივე წამოიწყებს მარსის კოლონიზაციას და ეს პროცესი დაახლოებით 2–3 საუკუნეში წარმატებით განხორციელდება. ამ საკითხებზე მსხვილი კორპორაციებიც მუშაობენ, მაგალითად, SpaseX, Big-ellow, Virgin Galactics და სხვა. თუმცა, სამეცნიერო ჯგუფების აზრით, მათ არ უნდა მიეცეთ საშუალება, სამეცნიერო მიღწევები, მხოლოდ საკუთარი

მიზნებისთვის გამოიყენონ. კომპანიების ერთი ერთი ამოსავალი წერტილი მარსის „რაც შეიძლება იაფად“ ათვისებაა, სამეცნიერო საზოგადოების მიზანი კი მარსის მომავალი კოლონიზების – ცოცხალი ადამიანების, უსაფრთხოება და კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. ამ საკითხში შესყიდვების ტენდერები და სხვა ფინანსური მაქინაციები აზრს კარგავს, რადგან ამ სფეროში არ არსებობს ტექნიკა, რომელიც ერთდროულად იაფიცაა და კარგი ხარისხისაც. ასე რომ ფინანსურ მხარეზე ზედმეტად ორიენტირებულ წრეებს მარკეტინგული პოზიციის დათმობა მოუწევთ. კოსმოსური ტექნოლოგიები ძალიან ძვირია, ხოლო „არაძვირი“ ტექნიკა საერთოდ არ მუშაობს და უდიდეს საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს.

მარსის კოლონიზაციის პირველი ეტაპი უკვე დაიწყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარსის ათვისება და ტერაფორმირება უახლოეს 200–300 წელიწადში მოხდება. რაც შეეხება პირველ კოლონიას – ამ საუკუნის დასასრულს ის აუცილებლად გვექნება. განსაკუთრებული უნარების მქონე ფანტასტიკი კი ვერ აღწერს ზუსტად, მოსალოდნელ ტექნოლოგიურ პროგრესს.

საქართველოს კოსმოსური სააგენტო გაუქმებულია. შეიძლება თუ არა შეიქმნას ახალი? რა კეთდება ამ მიმართულებით?

– დიახ, საქართველოს კოსმოსური სააგენტო 2006 წელს გაუქმდა და ამაში დამნაშავე ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა უპრინციპო, პოსტ-საბჭოთა, კორუფციული მართვის სტილი, სტრატეგიული ხედვების არარსებობა და არასტანდარტულ სამეცნიერო იდეათა მიუღებლობაა. ძალიან ვწუხვარ, ამას რომ ვამბობ და არც კონკრეტულ გვარებს დავასახელებ, მაგრამ მქონდა შესაძლებლობა შევხვედროდი ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, წევრებს და მესაუბრა მათთან. ფაქტობრივად, ეს იყო რამდენიმე, ერთმანეთთან დაახლოებული პიროვნების ჩაკეტილი ჯგუფი, რომლებიც არა ხელფასს, არამედ, შეიძლება ითქვას, 400–ლარიან სოციალურ დახმარებას იღებდნენ სახელმწიფოსაგან, ხოლო კანტი–კუნტი ღონისძიებები, რომლებსაც ისინი ატარებდნენ, იყო სრულიად დახურული და ფასადური ხასიათის. არც ლოკალური პროექტები არსებობდა და არც იმის სურვილი, რომ საერთაშორისო პარტნიორულ, პილოტურ ნაშრომებში მიეღოთ

მონაწილეობა. არადა, იმ დროს ასეთ პროექტებში ჩართვისა და ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარებისთვის ყველაზე კარგი პერიოდი იყო. სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა კოსმოსური სააგენტოები პოლონეთში, ჩეხეთში და ბალტიისპირეთის ყველა ქვეყანაში, რისთვისაც ამ ქვეყნებში მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდო. დღეს ისინი ევროპის კოსმოსური სააგენტოს – ESA–ს სრულუფლებიანი და ფინანსურად უზრუნველყოფილი ორგანიზაციები არიან. ბევრი მათგანი NASA–ს სტრატეგიული პარტნიორია. ჩვენი კოსმოსური სააგენტოს წარჩენები კი აი, ახლახანს, ჯართად გაიყიდა.

ახალი სტრუქტურის შესაქმნელად, საჭიროა პრინციპული, პროგრესული მეცნიერების ჯგუფი, სამთავრობო დონეზე შემუშავებული სტრატეგია და საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მანს არ დაუტოვებს ნეპოტიზმს და კორუფციას.

შესაძლებელია თუ არა შეიქმნას კოსმოსური სააგენტო, რომელიც არ იქნება დამოკიდებული სახელმწიფოზე?

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია და ვფიქრობ, მალე ასეც მოხდება. ჩემთვის

ცნობილია პროფესიონალთა ჯგუფი, რომელიც უახლოეს მომავალში ჩამოაყალიბებს მსგავს არასამთავრობო სტრუქტურას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია სამთავრობოზე გაცილებით უკეთ მუშაობს. დღეს არსებული გლობალური მნიშვნელობის კოსმოსური სააგენტოები სამთავრობო დაწესებულებებია, რომლებიც მცირემასშტაბიანი კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო მიღწევების ბაზაზე არსებობენ. გააჩნია ჩვენ, ჩვენი შესაძლებლობებით, რომელ სტრუქტურაში ვიპოვიოთ საარსებო ნიშას.

სამწუხაროდ, საქართველოში დღეს არსებული დაწესებულებები მეცნიერების განვითარებისა და დახმარების კი არა, მოსპობა–განადგურების რეჟიმში მუშაობს. მეცნიერის მუშაობის სტილი ძალზე სპეციფიკურია – აქ მკაცრად უზრუნველყოფილი უნდა იყოს აკადემიური და პიროვნული თავისუფლება. მეცნიერს უნდა ესებოდეს მხოლოდ მეცნიერება, რომ მისი გენიალური გონება ვილაციის ბიუროკრატიულ–ბუღალტრულ ქაღალდებში არ ჩაიხრჩოს. საკუთარი გამოცდილებიდან მიიღო ვთქვა, რომ მაგალითად NASA და ESA მეცნიერებისთვის დედამიწისეული

სამოთხეა, და იქ მეცნიერის მოღვაწეობის ყველა განსაკუთრებული ასპექტი გათვალისწინებულია. შედეგიც სახეზეა.

საქართველოში კი პირიქით, მეცნიერების წინააღმდეგ ამაზრუნენი ბიუროკრატიული მანქანა მუშაობს, თვალის ასახვევი ფასადური ღონისძიებები მომავალ თაობებს მეცნიერებისგან განაფრთხობს. განსაკუთრებით საშიში კი, ამ მხრივ, საქართველოში ბოლო დროს გამეფებული მასობრივი რელიგიური სიბეცეა. ამ ფონზე ჩემთვის საქართველოს კოსმოსური სააგენტოს, როგორც სამთავრობო სტრუქტურის არსებობა, ძნელი წარმოსადგენია. ვფიქრობ აჯობებს, რომ სწორედაც, არასამთავრობო სტრუქტურის ჩამოყალიბებით დავინყოთ.

როგორ ფიქრობთ, „გვინერია“ თუ არა ინტერპლანეტარულ არსებებად გადაქცევა და რა საფრთხეები გვემუქრება წინააღმდეგ შემთხვევაში?

– ვერ ვიტყვი რა „გვინერია“, მაგრამ, საკუთარ პლანეტაზე მოხრჩობა რომ გვემუქრება – ეს აშკარაა. მთელი დედამიწა გადავჭამეთ, სანვავს

არანორმალურად მოვიხმართ და პარალელურად ხეებს ვანადგურებთ, რომლებიც ჟანგბადს ვვანვდიან. ნახშირორჟანგის დონემ და საშუალო ტემპერატურამ მკვეთრად იმატა. დედამინა ამ უბედურებისგან თავს საშინელი მეთოდებით დაიძვრენ და ჭკუაზე მოგვიყვანს. მოვა დრო, და მზეზე მიმდინარე ცვლილებების გამო დედამინაზე ცხოვრება შეუძლებელი გახდება. ვიქნებით თუ არა ამისთვის მზად, ჩვენი სიხარბისა და სისულელეების რეალურ ზღვარზეა დამოკიდებული. ევოლუციას არ ეშლება, ის იდოტებს არ სწყალობს. თუ კაცობრიობას, კოსმოსში გასვლისა და ინტერპლანეტარულ არსებებად გადაქცევისთვის გამჭრიახობა და ნებისყოფა არ ეყოფა, მას „დიდი გადაშენება“ ემუქრება.

დედამინაზე ე.წ. „დიდი გადაშენება“ არაერთხელ მომხდარა. იყო პალეონტოლოგიური კვლევებით დადასტურებული 5 ეპოქა, როდესაც ჩვენს პლანეტაზე თითქმის ყველა ცოცხალი არსება ამოწყდა და ეს ყველაფერი რეალურად მოხდა. ყველა გადაშენება კლიმატის ცვლილებას ან/და კოსმოსურ კატაკლიზმებს უკავშირდება, რის შემდეგაც, სიცოცხლემ კვლავ აღიღვინა თავი, თუმცა არც ერთ

შემთხვევაში მეორე შანსი მანამდე გაბატონებულ სახეობას არ მისცემია. დოკუმენტური ფილმი „კოსმოსი“ აღწერს ვიტუალურ მუზეუმს, სადაც დიდი გადაშენების მოვლენებისადმი მიძღვნილი ექვსი საგამოფენო დარბაზია. მათგან ხუთში წარსულ ეპოქათა ნამარხებია გამოფენილი. მეექვსე დარბაზი კი ცარიელია...

MARS AND GEORGIAN SPACE PROGRAM

Marika Tarasashvili,
space biotechnologist, science teacher

What is the subject of your scientific research and what is the topic that interests you the most?

The subject of my research is astrobiology. It is the interdisciplinary field of modern science that unites several disciplines such as scientific ecology, environmental technologies, biochemistry, biotechnology, space environment technologies, 3D printing and synthetic biology. Astrobiology studies the issues that remain on the verge of astronomy and biology. In this matter, the topics of my special interest are the scientific challenges connected with the research and assimilation of Planet Mars. I am more than sure that the assimilation of space, new planets, and moons is the future of mankind, since securing the future of the Earthian life is only possible through its migration and dissemination into space. Our first steps towards this direction are manned Mars missions.

The biotechnological scientific aspects of colonization and terraforming of Mars are extremely complex. My thesis touched on the microbiological transformation of Mars's soil. It turns out that the organisms living in extreme conditions on Earth are able to transform Mars's soil and atmosphere. It will give us the possibility to develop Martian ag-

riculture based on the Earthian plants. It was my first serious experimental work in scientific astrobiology.

In 2008, the Georgian Scientific Foundation allocated findings thanks to which an on-paper project for a chamber simulating Mars conditions became a reality. Following this, many scientific works got elaborated and published on the Internet. Last year I had a working meeting at the German Space Agency – DLR. The subject of the meeting was the issue of using synthetic biology to develop genetically modified plants in space conditions. In May this year, at the US international conference of astrobiology, I presented work concerning the possible peculiarities of Earth plants' photosynthesis on Mars. A special publication dedicated to these issues will soon be published.

Colonization of Mars – when and how, in your opinion?

The colonization of Mars can even be launched today. Science has everything for that. Money is the obstruction, as always. At this stage, the colonization of Mars is connected only with the expenses. It is an investment, however, the profits of which can't be gained even for centuries. The arguments

against colonization can be divided into two categories. One of them says: „there are so many problems on Earth, it is better to spend money to solve them“. It is the classic, cynical position that popularizes social parasitism. As a rule, the supporters of this argument can't outline any kind of strategy for solving the problems they refer to. This is the category which is comprised of active consumers of modern technology, who never reject expensive cars or pay to help the poor or animals.

There is an even stronger position against Mars colonization which is mockingly referred to as the „Mars virginity defenders“ in scientific circles. Surprisingly, even some scientists share this position. According to them, Mars should stay as it is and nobody owns the right to „pervert its beauty“, as placing another kind of life there is the „biggest violence of space“. I can't speak on behalf of other people, but I can't understand how anyone can „pervert“ empty stones and sands and exert violence against non-existent life. In the end, life in the universe is something that is the most wonderful, beautiful and precious of things. If some day Mars will have its own life it will only be welcome. In the future, Mars may be the only solution for Earth's life to survive. Hopefully, the ma-

ajority of scientists realize that similar attitudes should not obstruct the grandiose plans of Mars colonization.

In light of the history of science, I assume that the progressive part of mankind can start the colonization of Mars as soon as in this century, and successfully complete it in 2-3 hundred years. Big corporations such as SpaceX, Bigelow, Virgin Galactics and others work on the subject too. However, according to the scientists, the corporations should not be given any possibility to use scientific achievements solely for profit. One of the ideas of the corporations is a „low cost“ colonization of Mars, while the main goal of science is the assurance of safety and well-being of the colonists. All financial tricks like cutting corners in cost etc. are nonsensical when it comes to space. There are no cheap items of high enough quality to be used in the field. Thus the business groups oriented towards cost efficiency will have to abandon their marketing ideas at some point. Space technology is extremely expensive, while „cheap“ technology doesn't work and, most importantly, is not safe.

The first stage of the colonization of Mars has already launched and will be finalized in 2-3 centuries. As for the first colony, it surely

will be on at the end of this century. Even the boldest science fiction can't describe the technological progress that is ahead.

The Georgian Space Agency is canceled. Is there a possibility to create a new one, is anything being done in this direction?

The Georgian Space Agency was canceled in 2006 due to the post-Soviet, unprincipled representatives of the agency, their corrupt work style, nonexistent strategic views, and resistance towards nonstandard scientific ideas. I am tremendously sorry to say this and I am not naming any names, but I had the possibility to meet and talk with the leaders of the agency. It was practically a closed group of several friends sitting on a 400 Lari monthly wage, which for me is more of a social welfare than salary. Seldom events held by the agency were mostly closed and superficial. There were no local projects, nor a readiness to take part in international pilot or joint projects. Alas, this period was the best time for participating and thinking about strategically developing of the agency. That was the time when new space agencies were being established in Poland and the Baltic countries, when important investments were being made. Today those agencies are the full-fledged and financially secured members

of the Europe Space Agency – ESA. Many of them are strategic partners of NASA, while the remnants of our Space Agency were recently sold as a junk.

A group of progressive scientists with strong principles are needed for the establishment of a new agency, as well as a strategy which will be worked out on the government level, along with legislature that excludes nepotism and corruption.

Is there any possibility for an establishment of a space agency that won't depend on the state?

Of course, there is a possibility. I even think it may happen soon. I know a group of professionals that are going to found a non-governmental organization working on space issues. Experience shows that an NGO works better than the state. Despite most of today's globally important space agencies being state bodies, they use scientific achievements of small-scale scientific institutions. It depends in which niche we find ourselves. Unfortunately, scientific institutions working today in Georgia mostly operate in a destruction or demolition mode. Scientific work style is very specific and requires a huge deal of academic and personal freedom. A scien-


tist must be engaged in science only, without plunging into bureaucratic book-keeping papers. Based on my own experience, I can say that NASA and ESA are kinds of paradises for scientists. They envisage all the smallest details and peculiarities of scientific work. And the results are tangible.

Today, a creepy bureaucratic machine works against scientists in Georgia. Superficial events are being held that scare the young generation away from science. The latest religious blindness that is commonplace in today's Georgia is especially alarming. On this backdrop, the existence of a space agency as a state structure seems unrealistic to me. This is why, in my opinion, it is much better to start with the establishments of a nongovernmental agency.

Do you think that it is our destiny to become interplanetary beings? What are the consequences if it never happens?

I can't talk about any destiny. However, it is clear that we face suffocation on this planet. We have squandered the whole planet, our use of fuel is not normal. We cut down trees that give us oxygen. The levels of carbon dioxide and the average temperature have sharply elevated. Earth will get rid of all those

disasters by some terrible cataclysms. The time will come when, because of the changes of the sun, living on the Earth will become impossible. Our readiness to deal with it depends on the limits of our greed and stupidity. Evolution is never wrong. It never favors idiots. If mankind won't be able to switch to an interplanetary mode of life, it will face the „great extinction“ that has happened on the Earth at least 5 times according to paleontology researches. All the living entities went extinct. All those extinctions were connected to climate change and/or other space-related cataclysms after which the Earth recovered itself, while none of the species living before the extinction were given such a chance. A documentary named „Space“ describes a virtual museum with six exhibition halls dedicated to six „great extinctions“. Among them, five are full of remnants of their respective destroyed epochs, while the sixth one is empty.



აკაღეგალური კონსონანზის ფსალმუნი

ნუ შეგაშინებს საშინელება ღამისა,
ატომური ბომბი დღისით გაფრენილი.
პოლიცია – ბნელში მოარული,
ატხადნიაკი – შუადღის მძარცველი.
დაეცემა შენს გვერდით ათასი
და ათი ათასი შენს მარჯვნივ,
შენ კი არ მოგეკარება.

PSALM OF ILLEGAL COSMONAUT

You will not fear the terror of night,
nor the nuclear bombs that fly by day,
nor the police cars that stalks in the darkness,
nor the hangover that destroys at midday.
A thousand may fall at your side,
ten thousand at your right hand,
but it will not come near you.

გზამკვლევეზე მუშაობდნენ:
ზურა ჯიშკარიანი
მარიამ ნატროშვილი
მაგდა გურული

გიგა ნიბახაშვილი
გიო ჯინჭარაძე

გამოსახულებების ავტორი:
ზურა ჯიშკარიანი

Guide is created by:
Zura Jishkariani
Mariam Natroshvili
Magda Guruli

Giga Tsibakhashvili
Gio Jincharadze

Images by:
Zura Jishkariani

